საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3128
05/07/2022

3128-21-2-202207051332

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2198 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადახლოში მდ. დებედას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მითითებული არ არის სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ქვეპუნქტის მითითებით;
- წარმოდგენილი არ არის საკვლევ უბანზე წყლის საანგარიშო ხარჯის განსაზღვრის ანგარიში;
- დაზუსტებას საჭიროებს თუ რა უზრუნველყოფის წყლის ხარჯზეა დათვლილი საპროექტო ნაგებობა, კერძოდ, საკვლევ უბანზე საანგარიშო დატბორვის დონეები მოცემულია 3% უზრუნველყოფის ხარჯისათვის, ხოლო კალაპოტის წარეცხვის სიღრმეები დათვლილია 1% უზრუნველყოფის ხარჯისათვის;
- ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემული ფორმულები განმარტებული უნდა იყოს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებით, ასევე დატბორვის დონეები მოცემული უნდა იყოს აბსოლუტურ ნიშნულებში (მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ტიპური კვეთი);
- დასაკორექტირებელია კალაპოტის წარეცხვის სიღრმის განმსაზღვრელი ფორმულა;
- მოცულობით უწყისში არ არის მოცემული დროებითი დამბის მოწყობის სამუშაოები და დროებითი დამბის ტიპური კვეთი;

- დოკუმენტში არ არის მოცემული ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საკითხი;
- „საქმიანობის მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ პროექტით გათვალისწინებულია 260 მ სიგრძის ქვანაყარი დამბის მოწყობა, სამშენებლო სამუშაოების მოცულობით უწყისში აღნიშნულია რომ იგეგმება ქვანაყარი ბერმის მოწყობა, ხოლო მშენებლობის წარმოების კალენდარული გრაფიკის ცხრილში გათვალისწინებულია ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ნაპირსამაგრი ნაგებობის ტიპი;
- დროებითი დამბა ძირითადი ნაგებობიდან დაშორებული უნდა იქნეს ისეთ მანძილზე, რომ არ შეფერხდეს ნაპირსამაგრი ნაგებობისათვის ქვაბულის მოწყობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთ გამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ „საქმიანობის მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ „ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში არ წარმოიქმნება ნარჩენები“, თუმცა, ამავე თავში აღნიშნულია, რომ სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერებში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო